

სასვენი ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი
გადაჭრის გზები
(VIII კლასის მაგალითზე)

კვლევის ანგარიში

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ნანა ბერძენიშვილი

2017-2018 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი.....	3
I თავი.....	4
1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და აქტუალობა.....	4
1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი.....	5
1.3 კვლევის მიზეზი.....	6
1.4 კვლევის მიზანი.....	7
თავი II.....	9
2.1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
III თავი მეთოდოლოგია.....	19
3.1 კვლევის მეთოდები.....	19
3.2 კვლევის მიგნებები.....	28
IV თავი - ინტერვენციები.....	28
4.1. შესაძლო ინტერვენციები და მისი განხორციელება.....	29
4.2. განხორციელებული ინტერვენციების შედეგები.....	35
4.3. ინტერვენციის შეფასება.....	38
დასკვნა.....	41
დანართები.....	46
ბიბლიოგრაფია:.....	53

შესავალი

ენა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ენის საშუალებით გამოხატავენ და უზიარებენ ადამიანები ერთმანეთს თავიანთ აზრებს. არ არსებობს ენა, საზოგადოების გარეშე, საზოგადოება-ენის გარეშე. აზრის გამოხატვის ძირითად ერთეულს წარმოადგენს წინადადება, რომელიც სიტყვებისგან შედგება, ხოლო სიტყვები ბგერებისაგან. დამწერლობის მქონე ენებში მეტყველება ორგვარია: ზეპირი და წერით. პირველი სმენით აღიქმება, მეორე მხედველობით. წერითი მეტყველების შექმნა-შემუშავება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მისი მნიშვნელობა კულტურის ისტორიაში განუზომელია.

ზეპირი მეტყველების სიტყვათა ასოების საშუალებით გამოხატვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაწერილი იყოს ნათელი, ადვილად წასაკითხი და გასაგები. ამიტომ წერის დროს ვიცავთ გარკვეულ წესებს და ვიყენებთ დამატებით გრაფიკულ ნიშებს. სასვენი ნიშნების დასმის წესებს სწავლობს პუნქტუაცია.

ჩატარდა პრაქტიკული კვლევა ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნანა ბერძენიშვილის მიერ. საკვლევი თემა იყო ქართული ენის სწავლების ერთი საკითხი, კერძოდ, სასვენი ნიშნების გამოყენება. კვლევა ჩატარდა სწავლების საბაზო საფეხურის VIII კლასში.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენე შერეული მეთოდი. თვისებრივი მეთოდებიდან - ფოკუს-ჯგუფი, რაოდენობრივი მეთოდებიდან - ტესტი, რომელიც მოიცავდა პრეტესტს და პოსტტესტს. მიღებულ ინფორმაციით დავადგინეთ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები. საკვლევი საკითხების იდენტიფიცირების შემდეგ განისაზღვრა ინტერვენციები, რომელთა განხორციელებამაც ხელი შეუწყო კლასში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განხორციელებული ინტერვენციებით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც

მასწავლებელი შეძლებს, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, რათა ეფექტურად და გააზრებულად გამოიყენონ სასვენი ნიშნები.

I თავი

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და აქტუალობა

წერის დროს სასვენი ნიშნების გამოყენება ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი წესია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად პუნქტუაციურ წესებს სწავლობენ დაწყებით კლასებში, ბავშვები მაინც ხშირად უშვებენ შეცდომებს. წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. იგი ეხება საბაზო საფეხურზე, კერძოდ, მერვე კლასში სასვენი ნიშნების ცოდნას და გამოყენებას პრაქტიკაში. ნაშრომში განხილულია სასვენი ნიშნების არცოდნით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

აღნიშნული კვლევა მასწავლებლისა და ფოკუსჯგუფის თანამშრომლობით განხორციელდა, შესაბამისად, პრაქტიკულ კვლევაზე მუშაობის პირველი ნაბიჯი მასწავლებლისა და ფოკუს ჯგუფის წევრების შეხვედრა და საკვლევი პრობლემის განსაზღვრა იყო. შეხვედრის დროს ვისაუბრეთ იმ სავარაუდო საკითხებზე, რომლებზეც შეიძლებოდა პრაქტიკული კვლევის ჩატარება. საუბრის დროს ფოკუსჯგუფის წევრებმა დასვეს კითხვა, ვიყენებდი თუ არა რამე განსხვავებულ მეთოდებს მიზნის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესში მანამდეც ვიყენებდი სქემებს, ტესტებს და სხვადასხვა რესურსებს, ამ მიმართულებით ასე კომპლექსურად მანამდე არასოდეს მიმუშავია. დავაკვირდი ტესტებს, და საშინაო დავალების რვეულებს და მივხვდი, რომ სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენება დიდი პრობლემის წინაშე გვაყენებდა. ხშირად ნაწერი გაუგებარი იყო და აზრი-ბუნდოვანი. გადავწყვიტე სწორედ ამ პრობლემაზე დამეწყო მიზანმიმართული კვლევა. ჩავთვალე, რომ ეს საკითხი არა მხოლოდ

ჩვენს მოსწავლეებს დაეხმარებოდა სასვენი ნიშნებს სწორად გამოყენებაში, არამედ ჩემთვისაც საინტერესო იქნებოდა და ხელს შემიწყობდა პროფესიულ ზრდაში. ამიტომ, საბოლოოდ საკვლევ საკითხად სწორედ ეს თემა შეირჩა. ამ საკითხზე ჩემთან ერთად მუშაობის სურვილი გამოთქვა დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა.

ეროვნული სასწავლო გეგმა 2004 წლის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის საფუძველზეა შედგენილი. მისი დანერგვა 2006-2007 სასწავლო წლიდან დაიწყო. მასში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუბარია იმაზეც, რომ აუცილებელია სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების ცოდნა, რაც მოიცავს იმ ძირითად ცოდნას და უნარებს, რომელთა გამომუშავებას და განვითარებას ხელს სკოლა უნდა უწყობდეს.

1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი

ეროვნული სასწავლო გეგმა 2004 წლის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის საფუძველზეა შედგენილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეროვნული სასწავლო გეგმა საბაზო საფეხურზე, ითვალისწინებს სასვენი ნიშნების ხმარების წესების შესწავლას. სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და არსებულმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებმა თეორიულად კარგად იციან სასვენი ნიშნების ხმარება. კერძოდ, წერტილის, კითხვის და ძახილის ნიშნების, გამაერთიანებელ სიტყვასთან ორწეტილის, ჩამოთვლის დროს მძიმეების ხმარების წესი, თუმცა წერის დროს ვერ იყენებენ მიღებულ ცოდნას. ანუ, რეალურად დადგინდა პრობლემა, რომ ვერ იყენებენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. ამ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად:

- არ იციან სასვენი ნიშნების ხმარების წესები;
- იციან, მაგრამ ავიწყდებათ წერის დროს;

- უყურადღებოდ ტოვებენ ამ საკითხს;
- ფიქრობენ, რომ სასვენი ნიშნების ცოდნა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

პრობლემის ზუსტად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია კვლევის მთავარი კითხვა:

რატომ უჭირთ წმ. მოწამეთა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის VIII კლასის მოსწავლეებს სასვენი ნიშნების გამოყენება?

1.3 კვლევის მიზეზი

ხანგრძლივმა დაკვირვებამ მაჩვენა, რომ მოსწავლეებს ძალიან უჭირთ საკუთარი მოსაზრებების წარიღობით გადმოცემა. არ იციან (ან ვერ ახერხებენ) საქმიანი წერილების: განცხადებების, მოხსენებითი, ახსნა-განმარტებითი ბარათების, დახასიათებისა და ხელწერილის წერას, ამიტომ გადაწყვიტე მომეძებნა ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზებზეც მეზრუნა.

ერი, რომელიც საკუთარ ენას ივიწყებს, დასალუპადაა განწირული“, ამიტომ, ჩემი, როგორც მასწავლებლის მიზანია, ხელი შევუწყო ისეთი მომავალი თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებს ოცდამეერთე საუკუნეში ზრუნავდეს და უფრთხილდებოდეს საკუთარ ენას, ვთვლი, რომ ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ვასწავლოთ ბავშვებს ენის მნიშვნელობა და განვუსაზღვროთ მისი ფუნქცია სახელმწიფოს არსებობისათვის. განათლება, რომელსაც მე მათ ვაძლევ, უნდა იყოს თანადროული - დროის გამოწვევების შესაბამისი - რაც გულისხმობს მოსწავლეების იმ უნარებით აღჭურვას, რაც

საჭიროა იმისათვის, რომ მათ შეძლონ და იყონ აქტიური, წარმატებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, ამასთან ერთად შეძლონ, საკუთარი ენა დაიცვან ბარბარიზმებისაგან, მომრავლებული, უცხოენოვანი ტერმინებისა და ჟარგონებისაგან. ამას კი ვერ მოახერხებენ თუ საფუძვლიანად არ შეისწავლიან საკუთარ ენას, მის აგებულებას, შინაარსსა და სტრუქტურას. აქ, კი უმთავრეს როლს გრამატიკა ასრულებს. წერა-კითხვა ის აუცილებელი უნარია, რომლის გარეშეც სამყაროს განვითარება შეუძლებელია. წერა კი სასვენი ნიშნების გარეშე წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ჩემი კვლევის მიზეზიც სწორედ ესაა. დაკვირვებამ მიჩვენა, რომ 21-ე საუკუნის მოსწავლეთა დიდ ნაწილს აქვს პუნქტუაციური ცოდნის დეფიციტი.

1.4 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეების ამჟამინდელი პუნქტუაციური ცოდნის განსაზღვრა, პუნქტუაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სასვენი ნიშანთა ცოდნის აუცილებლობა და ტრანსფერი. ხოლო კვლევის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენდა შემდეგი:

- დამედგინა პუნქტუაციის რამდენ წესს ითვისებდნენ წერისას?
- მათგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?
- როგორ / რა წყაროებით იღებენ ინფორმაციას ამა თუ იმ წესის შესწავლისას?
- რომელ წყაროს თვლიან ყველაზე სანდოდ?

კვლევის მიზანია მე-8 სკლასში პუნქტუაციური შეცდომების მიზეზების დადგენა, მისი გადაჭრის გზების პოვნა და შედეგების გაუმჯობესება, კოლეგებთან კონსულტირება, გაკვეთილების სათანადოდ დაგეგმვა ისეთი აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეებს აუმაღლებს პუნქტუაციურ ცოდნას.

კვლევის მიზანი- ამოცანაა განისაზღვროს:

- რატომ უჭირთ სასვენი ნიშნების გამოყენება;
- რომელ სასვენ ნიშანს იყენებენ ყველაზე ცუდად;;
- რა ფუნქცია აკისრიათ სასვენ ნიშნებს;
- განისაზღვროს აღმოჩენილი მიზეზებით პრობლემების პრევენცია;

სამიზნე ჯგუფი: მერვე კლასის მოსწავლეები

კვლევის მეთოდები: **რაოდენობრივი** - გამოკითხვა/ანკეტირება, დაკვირვება; ინტერვიუ მასწავლებლებთან, ინტერვიუ საკვლევი კლასის მოსწავლეებთან.

კვლევის დაწყებისთანავე შევიმუშავე კვლევის გეგმა და ვაწარმოე კვლევის დღიური.

თავდაპირველად, შევამოწმე მოსწვლეთა თეორიული ცოდნა. ჯერ ზეპირად, კითხვა-პასუხის საშუალებით, ხოლო შემდეგ ანკეტირებისთვის მოვამზადე კითხვარი, თეორიული ცოდნის შესამოწმებლად. მოსწავლეთა გამოკითხვისას ვიხელმძღვანელებ შემდეგი კითხვებით:

- ა) რამდენი სასვენი ნიშანი არსებობს?
- ბ) როდის გამოიყენება წერტილი?
- გ) რა შემთხვევებში ვიყენებთ მძიმეს და რა ფუნქცია აკისრია მას?
- დ) რომელი მეტყველების ნაწილის შეცვლა შეუძლია მძიმეს?
- ე) როდის იწერება ორწერტილი?
- ვ) რა განსხვავებაა ტირესა და დეფისს შორის?
- ზ) როგორ წინადადებასთან იხმარება ძახილისა და კითხვის ნიშანი ერთად?
- თ) რა სასვენ ნიშანს ვხმარობთ მიმართვასთან?

მასწავლებელი, რომლის მიზანია მოსწავლის აკადემიური ცოდნის გაღრმავება საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას - კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მონაცემების დამუშავება და ანალიზი შესაბამის ცოდნას,

გამოცდილებას და საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ ყველაფერს კი წინ უსწრებს ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანი: კვლევის რა მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი დასმული პრობლემის გადასაჭრელად? ეს ის არსებითი გადაწყვეტილებაა, რომელიც შემდგომი კვლევის წარმატებასა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს.

კვლევის მეთოდებს, ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. მათ საერთო მიზანი ამოძრავებთ - მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება - თუმცა ამისთვის განსხვავებულ ტექნიკას მიმართავენ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია გამოკითხვა, ექსპერიმენტი და რაოდენობრივი ანალიზი.

თავი II

2.1. ლიტერატურის მიმოხილვა

წერის დროს სიტყვების ასოებით გადმოცემასთან ერთად, ვიცავთ გარკვეულ წესებს და ვიყენებთ დამატებით ნიშნებს, რომლებიც აადვილებენ, როგორც აზრის ზუსტად გადმოცემას, ისე დაწერილის წაკითხვასა და მისი შინაარსის გაგებას.

სასვენი ნიშნები წერილობითი მეტყველების დამხმარე საშუალებაა. ისინი გვიჩვენებენ, როგორ ნაწევრდება ტექსტი შემადგენელ ნაწილებად: სად მთავრდება ერთი წინადადება და იწყება მომდევნო, ხოლო წინადადების შიგნით რა გრამატიკული ელემენტები გამოიყოფა. სასვენი ნიშნები, ამასთანავე, იმასაც აღნიშნავენ, თუ როგორია წინადადება შინაარსის მიხედვით და რა აზრობრივი მიმართებაა წინადადების ნაწილებს შორის.

სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი დანიშნულებაა, დაეხმაროს დამწერს, რომ მან, რამდენადაც შეიძლება, ნათლად და ზუსტად გამოხატოს წერილობით ის, რის გადმოცემაც მას სურს, ხოლო წამკითხველს,- დაწერილი წიკითხოს და გაიგოს ისე, როგორც თვით დამწერს ესმის. (აკაკი შანიძე, ლეო კვაჭაძე - ქართული ენა, გვ. 73).

სასვენი ნიშნების შესწავლა და გამოყენება საბაზო საფეხურზე მიზანმიმართული და თანმიმდევრული პროცესია, რომელიც სისტემატურ ხასიათს ატარებს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ენის შესწავლას ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი **სასწავლო საგანი** კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, **სწავლების ენაა**, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. ენას ყოველმხრივ რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის. ამ დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი გრამატიკას უჭირავს, რომელიც ორი დარგისაგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან შედგება. დამწერლობის მქონე ერებში მეტყველება ორგვარია: ზეპირი და წერილი.

სასვენ ნიშანთა ერთობლიობას პუნქტუაცია ეწოდება. ტერმინი პუნქტუაცია ანუ ინტერპუნქცია რომაულია, თუმცა მისი წარმოშობის დრო უცნობია. არაა დადგენილი, იყო თუ არა ცნობილი იგი არისტოტელესთვის. ასეა თუ ისე, პუნქტუაციის ჩანასახი უძველეს ბერძენ გრამატიკოსებთან გვხვდება. მაგრამ ამ ტერმინის ბერძენი და რომაელი გრამატიკოსებისეული გაგება თანამედროვეისგან განსხვავდება. უძველეს დროში პუნქტუაციას, ძირითადად, ორატორული დანიშნულება ჰქონდა (სიტყვის წარმოთქმა, დეკლამაცია) და მხოლოდ წინადადების ბოლოს წერტილების დასმით გამოიხატებოდა. წერტილს სვამდნენ აზვაცების გამოსაყოფადაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პუნქტუაცია ამ უძველესი ნიშნებიდან კი არა, ალექსანდრიული ეპოქის ინტერპუნქციიდან იღებს სათავეს. იგი არისტოფანეს სახელთანაა დაკავშირებული. VIII საუკუნის

ბოლოსთვის კი იმდენად შეიცვალა, რომ ვარნეფრიდმა და ალკუინმა, კარლოს დიდის თანამედროვეებმა, მისი პრინციპები ხელახლა შეიმუშავეს. ბერძნები თავდაპირველად ერთადერთ ნიშანს, წერტილს იყენებდნენ (ბერძ. σιγμα), რომელსაც სტრიქონის ხაზის ზედა ნაწილში, შუაში ან ქვემოთ სვამდნენ (დიონისე ფრაკიელის σιγμαῖ τελεία, μέσν, ὑποσιγμα). სხვა ბერძენი გრამატიკოსები, მაგალითად, ნიკანორი (რომელიც კვინტილიანეს შემდგომ ცხოვრობდა), ინტერპუნქციის სხვა სისტემებს იყენებდნენ (ნიკანორი რვა ნიშანს იცნობდა, სხვები – 4-ს და ა. შ.), მაგრამ ყველა მათგანი მეტყველების სინტაქსურ მხარეს ლოგიკურში ურევდა და არანაირი განსაზღვრული წესები არ ჩამოუყალიბებიათ (შტეინტჰალი), წესების ასეთი გამოუკვეთელობა იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეებისთვისაც. ეს დაახლოებით XV საუკუნემდე გაგრძელდა, სანამ ძმებმა *მანუციუსებმა*, ტიპოგრაფებმა, პუნქტუაციის ნიშნების რაოდენობა არ გაზარდეს და მათი გამოყენება განსაზღვრულ წესებს არ დაუმორჩილეს. სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ევროპული პუნქტუაციის ფუძემდებლებად. მართლაც, მანუციუსების შემდეგ პუნქტუაციაში არსებითი ცვლილებები არავის შეუტანია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ევროპული ენების ინტერპუნქცია ზოგიერთი დეტალით განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ინგლისურში „და“ კავშირის (and) წინ ხშირად იწერება ტირე ან მძიმე მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადების წინ იგი საერთოდ არ გამოიყენება. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ფრანგულშიც. შედარებით რთული და ზუსტი ინტერპუნქციაა გერმანულ ენაში, რომლის ძალიან საინტერესო თეორიაც აქვს ბეკერს, ისტორია და დახასიათება კი ბიელინგს. ქართული ინტერპუნქცია (ისევე, როგორც სლავური ენებისა) ბერძნულის მიხედვითაა ჩამოყალიბებული. იგი საკმაოდ რთულია, თუმცა, დახვეწილი.

წერის დანიშნულებათა, პირობითი ნიშნებით გამოვხატოთ ზეპირი მეტყველების სიტყვები. იმისათვის, რომ დაწერილი იყოს ნათელი, ადვილად წასაკითხი და

გასაგები წერის დროს ვიცავთ გარკვეულ წესებს და ვიყენებთ დამატებით გრაფიკულ ნიშნებს. ასე, მაგალითად, სიტყვასა და სიტყვას შორის ვტოვებთ თავისუფალ არეს, ახალი აზრების შემცველ წინადადებასა თუ წინადადებათა წყებას ვიწყებთ შეწეული სტრიქონით (აბზაციით); წინადადების ბოლოს თუ წინადადების შიგნით ვხმარობთ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), მძიმე (,), ძახილის ნიშანი (!), წერტილ-მძიმე (;), მრავალწერტილი (...), ორწერტილი (:), ტირე (-), ფრჩხილები (()), ბრჭყალები („“). ამ ნიშნებს სასვენი ნიშნები ჰქვია, რომელთა გამოყენება ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებში გარკვეულ სისტემას ქმნის.

პუნქტუაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წერითი მეტყველების სრულყოფისათვის. სასვენი ნიშნები მიგვითითებენ, როგორ ნაწევრდება ტექსტი წინადადებად, წინადადებები- შემადგენელ ნაწილებად. პუნქტუაციის ის სისტემა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, ახალია. იგი ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრდა, რასაც, როგორც საერთოდაც, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებამ შეუწყო ხელი. ეს სისტემა არაა საკუთრივ ქართული, იგი საერთოდ ევროპულია, მაგრამ მიუხედავად ამისა სასვენ ნიშანთა გამოყენება სხვადასხვა ენაში რამდენადმე სპეციფიკურია.

პუნქტუაცია, საზოგადოდ, გაცილებით გვიან შემუშავდა ვიდრე დამწერლობა. შემდეგაც ყველა პუნქტუაციური ნიშანი ერთბაშად არ შექმნილა, იგი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს: ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადოდ გამოყენება.

თავის დროზე პუნქტუაციის სწავლებისას საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევდა ქართველ მეცნიერ-მეთოდისტთა (ლ. კვაჭაძე, ნ. ბასილაია, მ. თალაკვაძე, ვ. რამიშვილი, რ. შამელაშვილი, ნ.

უსტიაშვილი, ლ. წულაძე, ვ. კვირიკაშვილი...) სათანადო კვლევები. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით თავის დროზე პირველი სიტყვა ცნობილმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამ თქვა (არნ. ჩიქობავა: გვ. 12). მაგრამ მათი ნაშრომების გამოცემის შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა ქართული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები; შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ნაცვლად ტრადიციული სწავლებისა (ცოდნაზე ორიენტირება), სიახლეს სთავაზობს სკოლას - ის უნარ-ჩვევებზეა ორიენტირებული. ამიტომაც „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტებშიც“ ნაცვლად იმ საკითხების ჩამონათვალისა, რომელიც უნდა იცოდეს მოსწავლემ, ვხვდებით იმ ინდიკატორების ნუსხას, რომლებიც ამა თუ იმ უნარ-ჩვევის (უნდა შეეძლოს) ფორმირებაზე მიგვითითებს. ასეა პუნქტუაციის შემთხვევაშიც. VII-IX კლასების „საგნობრივი სტანდარტების“ მიხედვით, საბაზო სკოლის დასრულების შემდეგ ამ კუთხით მოსწავლე უნდა ფლობდეს შემდეგ ჩვევებს:

ა) შეეძლოს სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის ტექსტების გამართულად წერა და კორექტირება;

ბ) სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად; ესგ-ის მიხედვით, საბაზო კლასებში პუნქტუაციის საკითხთა სწავლება ძირითადად VII კლასშია გათვალისწინებული: „პუნქტუაცია და აზრი, პუნქტუაცია და ინტონაცია, პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები“ (ესგ, 2011, გვ. 68). მომდევნო კლასებში ამ საკითხებზე ყურადღება აღარ მახვილდება, იგი განიხილება როგორც წერის საერთო სტრატეგიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მათი გამოყენების მხრივ საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს. ძირითადად გამოიყენება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით აგებული სხვადასხვა ავტორთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები. ესგ-ის მიხედვით ლიტერატურული და ენობრივი მასალა ინტეგრირებულად ისწავლება. ამ პრინციპით არის შედგენილი სამინისტროს

მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები საბაზო კლასებისათვის, თუმცა მასწავლებელთა ერთი ნაწილი პუნქტუაციის საკითხებზე მუშაობისას უპირატესობას კვლავ ენის ძველ, ტრადიციულ, დამხმარე სახელმძღვანელოს ანიჭებს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII-IX კლ.), რადგან პუნქტუაციის საფუძველი სინტაქსია, პუნქტუაცია სინტაქსთან ერთად შეისწავლება. პუნქტუაციურ უნარ-ჩვევათა ფორმირებაც ძირითადად სინტაქსის ცალკეული საკითხების შესწავლის პარალელურად მიმდინარეობს. მხოლოდ სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ხდება გასაგები ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარება. სწორედ ამიტომ სასკოლო პრაქტიკაში პუნქტუაციურ ჩვევათა ფორმირებისათვის ფართოდაა გამოყენებული პუნქტუაციური გარჩევა. პუნქტუაციურია გარჩევა, როცა ტექსტის ანალიზი იმის მიხედვით ხდება, თუ სად რა სასვენი ნიშანი იწერება და რატომ. იგი სინტაქსურ გარჩევას ეყრდნობა. წინადადების სტრუქტურის გარკვევასთან ერთად მისი მიზანია სასვენი ნიშნების ხმარების წესთა გაცნობიერება, სასვენ ნიშანთა ხმარების ჩვევის გამომუშავება. სწორედ პუნქტუაციური გარჩევისას ხდება არგუმენტირება-დასაბუთება: სად რა სასვენი ნიშანი უნდა დავსვათ და რატომ (მ. თალაკვაძე: გვ. 21).

საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელი მინიმუმის შეგნებულად გამოყენება. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 წ. გვ. 50-54).
- **ქართ. VIII. 12.** მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.
- **ქართ. VIII. 13.** მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.

2004 წლიდან პირველი-მეოთხე კლასების მასწავლებლები ქართული მართლწერის შესწავლისას აქტიურად იყენებენ ნ. მაღლაკელიძისა და ც. ყურაშვილის დამხმარე სახელმძღვანელოს „ჩვენი ენა ქართული“, მასში წარმოდგენილია არა მარტო გრამატიკის ელემენტარული კურსი გრამატიკული ცნებებით, არამედ მართლწარმოთქმის, მართლწერის, სტილისტიკის, პუნქტუაციის, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების საკითხები. დიდი ადგილი ეთმობა სავარჯიშოებს, რომლებიც ავითარებს წერისა და ზეპირმეტყველების უნარს. ყოველ გრამატიკულ წესს მოსდევს სავარჯიშოები ორთოგრაფიასა და ორთოეპიაში. ჩვევათა გამომუშავებისათვის, პირველ რიგში, მართლწერის წესების მტკიცედ დაუფლებაა საჭირო. სახელმძღვანელოში მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები კლასების მიხედვით თანდათან რთულდება. ისინი სახელმძღვანელოში წარმოდგენილია დიდაქტიკის პრინციპის მიხედვით და, რაღა თქმა უნდა, მეთოდოლოგიურ მოთხოვნებზე დაყრდნობით. მასალა მოსწავლეებს ინდუქციის გზით მიეწოდებათ. იწყება შესწავლილი მასალის ანალიზით, გრძელდება ანალოგიური მაგალითების მიწოდებით, ნაწილ-ნაწილ თანდათანობით ითვისებენ ამა თუ იმ საკითხებს.

პუნქტუაციის საკითხთა შესწავლა მოსწავლისაგან მოითხოვს შესწავლილი მასალისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას. ეს პროცესი ცნობიერი პროცესია და ამის ფსიქოლოგიური ანალიზი აუცილებელია წერისას. პუნქტუაციის სწავლების საქმესა და მის გაცნობიერებაში ფსიქოლოგიურ მონაცემებს ვუწევთ ანგარიშს. როგორც ვიცით, ფსიქოლოგია განიხილავს აღქმას, აზროვნებას, მეხსიერებას და სხვა ფსიქიკურ ფუნქციებს, რომლებსაც აქვს თავისი გენეტიკური კანონზომიერება. ბავშვის ფსიქიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაცემები ქართული ენის მეთოდოლოგიის საფუძველსა და მისი მეცნიერული სრულყოფის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგები ერთხმად თანხმდებიან ბავშვების ინდივიდუალიზმზე. ერიკსონი თვლიდა, რომ ბავშვისთვის აუცილებელი იყო ნდობის, გამომჟღავნება იყო. „წახალისეთ

ბავშვები, გამოიჩინონ ინიციატივა. მიეცით მათ საკმაოდ დიდი თავისუფლება, იმისათვის რომ გამოიკვლიონ და შეისწავლონ საკუთარი სამყარო, ჩართეთ ისინი ისეთ საქმიანობებში, რომლებიც მათ წარმოსახვით უნარებს გააძლიერებს და წაახალისებს.“

პუნქტუაციის შესწავლის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ერთი მხრივ, წესების ცოდნა, მეორე მხრივ – სმენა, მხედველობა და ხელის მოძრაობა (მოტორიკა). მასწავლებელი ყველა ამ ფაქტორს ეყრდნობა მოსწავლეებთან მუშაობისას. აცნობს ჯერ სათანადო წესს, რამდენჯერმე ამეორებიანებს საკონტროლო ფრაზას სასვენი ნიშნის გამოყენებით, უჩვენებს ამ ფრაზის გრაფიკულ სახეს და ავარჯიშებს მის მართლწერაში. ერთი და იგივე წესი შეიძლება ბავშვებმა გამოიყენონ წარმატების სხვადასხვა ხარისხით. წარმატება კი დამოკიდებულია კონკრეტული მოქმედების განხორციელების საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმების თავისებურებებზე.

დღეს საუბარია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შესახებ, რომლის დროსაც ცოდნას მოსწავლე თვითონ აშენებს სწავლის პროცესში მასწავლებლის დახმარებით. ეს არის კონსტრუქტივიზმი, რომლის მთავარი არგუმენტია ცოდნა მოსწავლის მონაწილეობით. სწავლა, ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, გულისხმობს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში გამოცდილების მიღებასა და ინფორმაციის დაგროვებას (ბრუნერი). კოგნიტური თეორიების მიხედვით კი იგი ადამიანის შემეცნებით აქტივობას საჭიროებს. სწავლა შესაძლებელია კოგნიტურ ცვლილებაში გამოიხატოს და ქცევაში მაშინვე არ აისახოს. **ბოგოიაველენსკი** დაწვრილებით იკვლევს მართლწერის ფსიქოლოგიას და აღნიშნავს, რომ სისტემურობის დასაცავად მართლწერის სწავლება იწყება ახალი ორთოგრაფიული წესების გაცნობით და მთავრდება ბოლო ეტაპით, წესების ათვისებით. სწავლების პროცესში საჭირო და აუცილებელია სწორად შეირჩეს სწავლების მეთოდებიც. აუცილებელია, მოსწავლე დავაინტერესოთ პუნქტუაციური მასალით (როგორც ცნობილია, ნაკლებად ინტერესდებიან). ისინი

უნდა ჩავაყენოთ პრობლემურ სიტუაციებში. მოსწავლე თვითონ უნდა შეეჯახოს პუნქტუაციურ სირთულეს და დაინტერესდეს ამით, უნდა გაუჩნდეს ინტერესი დავალების სწორად შესრულებისა. ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის“ თეორია ეს არის, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანისტური მიდგომა განათლების საკითხისადმი. გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს აქვს რვავე ტიპის უნარი და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარება. იგი გვიჩვენებს, რომ ისე დავგეგმოთ გაკვეთილი, რაც შეიძლება მეტი „ინტელექტის“ სფერო იყოს ჩართული. თითოეულ ადამიანს უფრო მეტად აქვს განვითარებული რვა უნარიდან ერთი რომელიმე. ერთი შეხედვით ძნელია კლასში, ამდენ მოსწავლესთან, ისეთი აქტივობების შერჩვა, რომ ყველას შესაძლებლობებზე იყოს ისინი მორგებული, თუმცა ძალიან ბევრი მასწავლებელი ამას ახერხებს და კარგადაც გამოსდის, ამიტომ, ვფიქრობ, გარდნერის თეორიის გამოყენების მოსინჯვა ნამდვილად არ იქნება ურიგო.

ამრიგად, წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვარჯიშის გარეშე პუნქტუაციის ჩვევებისათვის არაა საკმარისი. მოგეხსენებათ, ჩვევა არის ისეთი მოქმედება, რომელსაც ბავშვი იმუშავებს, „ყოველი „სწავლითი ვარჯიში“ ჩვევის გამომუშავებისკენ არის მიმართული“ (ჯანაშია...2010: 25), დაწყებით სკოლაში დებულობენ მოსწავლეები პირველად ცოდნა-ჩვევას კითხვაში, წერაში, მართლწერაში. დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა-ჩვევა მოსწავლის შემდგომი წარმატების საფუძველია. ვიცით, რომ სწავლა არის ქცევის წამყვანი ფორმა ბავშვისათვის. „სასწავლო ქცევის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მისი მიზანია ახალი ცოდნის, ჩვევებისა და უნარების შეთვისება და არა გარე შედეგის მიღება“ (მუხინა 1988: 181). ბავშვის ფსიქიკური განვითარება სწავლის პროცესში ხდება. ცოდნისა და ჩვევის დიდ ნაწილს ბავშვები ითვისებენ მოზრდილებთან ურთიერთობის პერიოდში, ჩვევებისა და მითითებების შესრულების დროს. ცოდნის ღრმა და მტკიცე შეთვისებისათვის აუცილებელი პირობაა უნარი და ჩვევა. ამისათვის მასწავლებელი მოსწავლეს სისტემატურად

ავარჯიშებს, აჩვენებს საუკეთესო ხერხებს მუშაობის პროცესში, ამოწმებს მათ უნარს. „წერის ჩვევა გულისხმობს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელსაც ხელის თითების მტევნის და წინამხრის კომბინირებული მოძრაობით ასო ნიშნები და სასვენი ნიშნები გამოჰყავს... ჩვევა არის გარკვეული მოქმედების შესრულების, ანუ განხორციელების უნარი, შემძლეობა, დისპოზიცია, რომელსაც არავითარი სხვა რამ მიზანი არ გააჩნია“ (ხოჯავა 1950: 14). სწავლების პროცესში აუცილებელია ისეთი კოგნიტური ფაქტორები, როგორიცაა რწმენა, მოტივაცია, მოლოდინი, მე-კონცეფცია. ეს ბანდურას სწავლების სოციალურ- კოგნიტური თეორიის ძირითადი ფაქტორებია. ამ თეორიის მიხედვით, მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს არა მარტო საკუთარი ქცევის შედეგებიდან, არამედ სხვებზე დაკვირვებითაც. სხვადასხვა ასაკის ადამიანის ფსიქიკური მოვლენები თავისებურებით ხასიათდება. ამიტომ აუცილებელია, ვაკვირდებოდეთ მოსწავლის ფსიქიკურ მოვლენებს და ამის მიხედვით ვიმუშაოთ მათთან.

როგორც ვნახეთ, ფსიქოლოგია ენის სწავლების საქმეში წამყვან როლს ასრულებს, კერძოდ, მართლწერის სწავლების პროცესში. პუნქტუაციის სწავლებისას გარკვეულ როლს მხედველობითი აღქმა და წარმოდგენები თამაშობს. პუნქტუაციის შესწავლისას აუცილებელია წესის ცოდნა, განმტკიცება; მისი ჩვევის გამომუშავება კი უნდა მოხდეს მიზნობრივი წერითი სავარჯიშოების ჩატარების გზით. „წესის გაგება და მისი სიტყვიერი ფორმულირების დამახსოვრება მხოლოდ დასაწყისი ეტაპია. ამ პროცესის ბედი დამოკიდებულია იმ ქმედებაზე, რომელშიც მარეგულირებელ ფუნქციას წესი ასრულებს“ (Богоявленский 1966: 247). ამრიგად, ფსიქოლოგია პუნქტუაციის სწავლებისას წამყვან როლს ასრულებს, რადგან ცოდნის მიღება-შემეცნება ეს ხომ თვით ფსიქიკური მოვლენაა.

III თავი მეთოდოლოგია

3.1 კვლევის მეთოდები

კვლევის მთავარი კითხვის პასუხის გაცემაში დამეხმარა კვლევის მეთოდები.

მოსწავლეთა ფონური ცოდნის დადგენა - შეცდომათა ტიპებისა და მათი გამომწვევი კონკრეტული მიზეზების დადგენამდე მოსწავლეებს წინასწარ ჩავუტარე პრეტესტი ანკეტირება, რომლებიც ძირითადად შემდეგ კითხვებს მოიცავდა:

- ა) რომელ სასვენ ნიშნებს იყენებთ ყველაზე ხშირად წერისას?
- ბ) თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება სასვენი ნიშნების ხმარება?
- გ) რა განაპირობებს ამ სასვენი ნიშნების ხმარებას?
- დ) რატომ ავიწყდებათ სასვენი ნიშნების დასმა წერისას?

გამოირკვა, რომ კვლევის მონაწილე ყველა მოსწავლე (18) წერისას ყველაზე ხშირად იყენებს მძიმეს, წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს; შედარებით მცირე ნაწილი (12 მოსწავლე - 66,7%) წერისას იყენებს აგრეთვე ორწერტილს; კიდევ უფრო მცირე ნაწილი (10 მოსწავლე - 50,5%) იყენებს ტირეს (თუმცა, როგორც წესი, იგი ხშირად ერევათ დეფისში), მონაწილეთა დიდი ნაწილი (9 - 50%) საერთოდ არ იყენებს ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორიცაა: ბრჭყალები, ფრჩხილები, წერტილ-მძიმე, ეს იმით აიხსნება, რომ ამ სასვენი ნიშნების ხმარებას სათანადოდ არ ასწავლიან. რაც შეეხება წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, წინადადების ბოლოს მათი გამოყენების ჩვევა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს უკვე აქვთ.

მოსწავლეთა ნაწერებში უმეტესად გვხვდება შემდეგი სახის შეცდომები:

- სასვენი ნიშანი არ არის დასმული იქ, სადაც საჭიროა,
- სასვენი ნიშანი უადგილოდ არის გამოყენებული,
- ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილია მეორით.

მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეული სასვენი ნიშნის ხმარებისას ყველაზე გავრცელებული შეცდომებია:

- მძიმის არასწორად დასმა,
- მძიმის არდასმა,
- ორწერტილის არასწორად გამოყენება,
- ტირეს დაუსმელობა ან არასწორად გამოყენება (ტირე და დეფისი მოსწავლეებს, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთში ერევათ).

ისიც აღსანიშნავია, რომ პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა ორთოგრაფიულთან შედარებით კლასების მიხედვით კი არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდევ.

კვლევის თვისებრივ ნაწილში მოეწყო 2 ფოკუსური ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისაგან. კვლევაში მონაწილეობდნენ სხვა საგნის მასწავლებლებმაც.

კვლევის გეგმა (დანართი 1) კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით, და იმისათვის, რომ კვლევის პროცესში სწორად დამეგეგმა თითოეული ნაბიჯი, მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ფოკუს -ჯგუფი, კითხვარები, ინტერვიუ, ანკეტირება, მეორადი მონაცემების ანალიზი.

ინტერვიუ - მასწავლებლებთან ინტერვიუმ გამოკვეთა აღნიშნული პრობლემის სიცხადე. კერძოდ, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ მოსწავლეებს უჭირთ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება.

ფოკუსჯგუფის - ჯგუფის ჩატარების მიზანი იყო, მიმეღო მასწავლებლებისაგან ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა კითხვარის შედგენაში. მათგან

მიღებული მონაცემების შეგროვების მიზანი იყო დამედგინა მოსწავლეთა პუნქტუაციურ ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვასა და კითხვარის მომზადებაში. მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაცია ნიშნელოვანია პრაქტიკული კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის, რადგან საკმაოდ დიდის მათი როლი სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლები შეირჩა ფოკუს - ჯგუფისთვის სურვილისა და თავისუფალი დროის გათვალისწინებით. საჭირო ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მივიჩნიე კითხვარების გამოყენება, რათა გამეგო უმრავლესობის აზრი კონკრეტულ საკითხებზე.

კითხვარი (დანართი 2) შემუშავდა თითოეული მასწავლებლისთვის. მათი დახმარებით საშუალება მომეცა დაგვეკვირვებოდა და გამეანალიზებინა ყველა ის პრობლემა, რომელიც პუნქტუაციურ ცოდნასა და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნართანაა დაკავშირებული. კითხვარის შევსებისას დაცული იყო ანონიმურობაც, და ეს ფორმა, ყველაზე ეფექტურად მივიჩნიე, რადგან ანონიმურობამ ხელი შეუწყო მათ გულახდილობასა და ობიექტურობას. ჩემი აზრით, შევსებული კითხვარები ზოგად წარმოდგენას შემიქმნის, თუ რა აზრი აქვთ მასწავლებლებს, როგორ შეიძლება გადაიჭრას პუნქტუაციურ ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემები.

ანკეტირება (დანართი 3) კლასის ყველა მოსწავლეს ჩავუტარე ანკეტირება. შევაგროვე შემდეგი ინფორმაცია და დავადგინე, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება პუნქტუაციასთან, კერძოდ, სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით, რა სირთულეები ხვდებათ მათ წერისას. ანკეტირებით მიღებული ინფორმაცია დავაკავშირე საკვლევ პრობლემასთან და მათი გათვალისწინებით დავგეგმე პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

მეორადი მონაცემების ანალიზი - მოვიძიე საკვლევი კლასის მოსწავლეთა 2014-2015; 2016-2017 სასწავლო წლის წერითი ნამუშევრები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დავაკვირდი და შევისწავლე დავალებები, რომლებიც პუნქტუაციურ ცოდნას ამოწმებდა. შევადარე 2017-2018 სასწავლო წლის ნამუშევრებს. მოპოვებულ მონაცემებზე დაკვირვება დამეხმარა პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი დაძლევისათვის საჭირო ინტერვენციების დაგეგმვაში. საკვლევი პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისა და შედეგების შესადარებლად მოსწავლეებს კვლევის დასაწყისში ჩავუტარე პრეტესტი, ბოლოს კი პოსტტესტი.

ფოკუსჯგუფი - მასწავლებლებთან ჩავატარე. საუბრისას ნათლად გამოიკვეთა მათი შეხედულება პუნქტუაციის მნიშვნელობაზე, მათ სურვილი გამოთქვეს აქტიურად ჩაერთონ მოსწავლეებში პუნქტუაციური ცოდნის გაზრდის ხელშეწყობისათვის. თუმცა, აღნიშნავდნენ, რომ არ იცოდნენ რა ნაბიჯები უნდა გადაედგათ ამისათვის, ზოგი მათგანი დროის უქონლობაზეც წუხდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა კითხვები, რომლის მიხედვითაც შემუშავდა კითხვარი.

კითხვარი - მასწავლებელთა კითხვარის შედგენისას ჩემი მიზანი იყო გამომეკვლია:

არის თუ არა პუნქტუაციის ცოდნა აუცილებელი სხვა საგნებისთვისაც.

მასწავლებელთა კითხვარის დამუშავების შედეგად (სულ 10 კითხვარი) გამოირკვა:

1. პუნქტუაციური ცოდნა აუცილებელია;
2. პუნქტუაცია დიდ გავლენას ახდენს ტექსტის გაგება-გააზრებაზე;

3. პუნქტუაცია სჭირდება ყველა საგანს;
4. თვლიან, რომ პუნქტუაციური უნარ-ჩვევები ქართული ენის მასწავლებლის ვალდებული და კომპეტენციაა.

კითხვარი მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა კითხვარის შედგენისას ჩემი მიზანი იყო გამომეკვლია :

რა როლს ასრულებს პუნქტუაცია სწავლა-სწავლების პროცესში;

1. აცნობიერებენ თუ არა სასვენი ნიშნების მნიშვნელობას;
2. იცავენ თუ არა სასვენი ნიშნების გამოყენების ძირითად წესებს;
3. აქვთ თუ არა სურვილი იწავლონ სასვენი ნიშნების გამოყენება;
4. ეხმარებათ თუ არა სასვენი ნიშნების ცოდნა წერის პროცესში;
5. აუცილებელია თუ არა პუნქტუაციის ცოდნა და მისი გამოყენება პრაქტიკაში.

ანკეტირება-გამოკითხვამ აჩვენა, რომ 10 მასწავლებლიდან ათივე თვლის, რომ პუნქტუაციის ცოდნა აუცილებელი და საჭიროა. 8 მასწავლებელი თვლის, რომ პუნქტუაცია დიდ გავლენას ახდენს ტექსტის გაგება -გააზრებაზე. მიაჩნიათ, რომ თუ ბავშვმა ვერ გაიგო ტექსტი, სწორად ვერ აღიქვა სასვენი ნიშნები, გაგება-გააზრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. 6 მასწავლებელი თვლის, რომ პუნქტუაცია სჭირდება ყველა საგანს. აქედან გამომდინარე, კითხვარის გაანალიზებამ საშუალება მომცა, შემედგინა გარკვეული რეკომენდაციები.

მეორადი მონაცემების ანალიზი - პრობლემის უკეთ გარკვევისათვის დავაკვირდი და გავანალიზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესრულებული წერიტი დავალებები, რომლებიც პუნქტუაციურ ცოდნას ამოწმებდა.

- განვიხილე - 2016-2017 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

- განვიხილე - 2017-2018 სასწავლო წელის პირველ სემესტრში შესრულებულ დავალებები

შევადარე ერთმანეთს 2016-2017 სასწავლო წლის ნამუშევრების შედეგები 2017-2018 სასწავლო წელის პირველი სემესტრის შედეგებს;

- განვიხილე - 2017-2018 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ მეორე სემესტრში შესრულებული დავალებები;

- შევადარე წინა შედეგებს, რათა გამეგო რა ტენდენცია შეინიშნება მოსწავლეთა დავალებებში პუნქტუაციის ცოდნასთან დაკავშირებით. შედეგების ანალიზმა მიჩვენა, რომ მოსწავლეების უმეტესობას სასვენი ნიშნების გამოყენება თითქმის არ შეუძლიათ. შედეგების შედარებისას გამოვლინდა, რომ 2016-2017 სასწავლო წლის და 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ნამუშევრების შედეგები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს. 18 მოსწავლიდან 15 საერთოდ არ იყენებდა ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორიცაა: ორწერტილი, დეფიზი, ფრჩხილები, ტირე.

შედეგების ანალიზმა დაადასტურა მასწავლებელთა ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია. მოსწავლეთა უმეტესობას ნამდვილად უჭირს ისეთი დავალებების შესრულება, რომელიც პუნქტუაციური უნარ-ჩვევების გამოყენებას მოითხოვს. 2017-2018 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ მეორე სემესტრში შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 20 მოსწავლიდან 12 კარგად იყენებს ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორიცაა: წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, ტირე, ორწერტილი, ფრჩხილები.

ფოკუსჯგუფი - ინტერვიუ

ეს მეთოდი გულისხმობს რამდენიმე ადამიანის ერთად ინტერვიუებას. მისი გამოყენება სასარგებლოა ისეთ ჯგუფში, რომელიც საერთო მიზნის მისაღწევად ერთად მუშაობს და მაშინ, როცა ჯგუფში მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რას ამბობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები. კვლევის პროცესში, ფოკუსჯგუფის, როგორც კვლევის მეთოდის, გამოყენება პრობლემის იდენტიფიცირებისთვის გახდა საჭირო ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან.

კითხვარმა საშუალება მომცა, გამერკვია, თუ როგორ იციან მოსწავლეებმა სასვენი ნიშნების გამოყენების წესები თეორიულად. ვთვლი, რომ, მათი უმეტესობა ფიქრობს, რომ კარგად იცის ეს წესი და საკმაოდ კარგად იყენებს მას პრაქტიკაშიც.


ანკეტირებისთვის მოვამზადე კითხვარი, რომლის მიხედვითაც დავადგინე, თუ როგორ იყენებენ სასვენ ნიშნებს წერისა და კითხვის დროს. კითხვარის ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები:

- მოსწავლეთა უმეტესობა თვლის, რომ კარგად იყენებენ სასვენ ნიშნებს კითხვის დროს, თუმცა, პრაქტიკულმა სამუშაოება განსხვავებული შედეგები მოგვცა. მოსწავლეთა 80% კითხვის დროს საერთოდ არ იყენებს მძიმეს, ორწერტილს.
- არ იციან კითხვის ნიშნის გამოყენებაც, ვფიქრობ, ძალიან ხშირად უადგილოდ ხმარობენ მახვილს წინადადების ბოლო წევრზე, მაშინ, როცა მახვილი კითხვით სიტყვას უნდა დაესმოდეს. მათი ყურადღება გადატანილია უშუალოდ ტექსტის სწორად და სწრაფად წაკითხვაზე.
- სასვენ ნიშნები უყურადღებოდ რჩებათ. ეს ეხება, როგორც პროზას, ასევე პოეზიას. მიუხედავად ამისა, კითხვისას არაა ისეთი შესამჩნევი, სასვენ ნიშნები დამახინჯება და მათი უგულებელყოფა, როგორც წერის დროს.

მოსწავლეთა 80 % თვლის, რომ კითხვისას სარგებლობს სასვენი ნიშნების გამოყენების წესით.

მოსწავლეთა 12 % თვლის, რომ ნაწილობრივ სარგებლობს სასვენი ნიშნების გამოყენების წესით.

მოსწავლეთა 8 % თვლის, რომ საერთოდ არ სარგებლობს სასვენი ნიშნების გამოყენების წესით.




სულ სხვა მდგომარეობაა წერის დროს.

მოსწავლეთა 65 % თვლის, რომ სასვენი ნიშნებს სწორად და ეფექტურად იყენებს;

25 % მიაჩნია, რომ იცის სასვენი ნიშნების გამოყენება,

7 % ფიქრობს, რომ იცის თეორიულად, მაგრამ ვერ იყენებს წერისას.

3 % თვლის, რომ საერთოდ ვერ იყენებს სასვენი ნიშნებს.



ო

მისა


თვის,

რომ

გამერკვია, რეალურად როგორ იყენებენ პრაქტიკაში მიღებულ ცოდნას, გადავედი პრაქტიკულ სამუშაოზე. მოვამზადე ტექსტები სასვენი ნიშნების გარეშე.

არსებითად განსხვავებული შედეგები გამოიკვეთა. მივხვდი, რომ, პრაქტიკულად,

- 69 % საერთოდ არ იცნობს სასვენი ნიშნების გამოყენების წესებს და, რა თქმა უნდა, მას ვერ იყენებს ეფექტურად და სწორად;
- 19 %-ს ნაწილობრივ შეუძლია სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება და
- მხოლოდ 12 % სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.



3.2 კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება მოსწავლეთა მიერ სასვენი ნიშნების გამოყენების წესების ცოდნასთან დაკავშირებით:

- თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში ვერ იყენებენ;
- აქვთ შეუსაბამო მოლოდინები ცოდნის შესახებ;
- არ ფლობენ სრულ ცოდნას სასვენი ნიშნების შესახებ;
- სასვენი ნიშნებს სწორად ვერ იყენებენ ზეპირი მეტყველების დროს.

IV თავი - ინტერვენციები

4.1. შესაძლო ინტერვენციები და მისი განხორციელება

მონაცემთა ანალიზის შემდეგ დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი ინტერვენციები:

გამომეტყველებითი კითხვა - თავდაპირველად შევეცადე, გამერკვია, როგორ კითხულობდნენ ლექსს. შევარჩიე მცირე მოცულობის არასაპროგრამო ლექსები სხვადასხვა პოეტების შემოქმედებიდან. ლექსები შემთხვევითობის პრინციპით ავრჩევინე და ვთხოვე, ხმამაღლა, აუდიტორიის წინაშე წაეკითხათ. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა. მოსწავლეთა უმეტესობა ვერ მიხვდა ვერც ლექსის შინაარსს და ვერც მის მთავარ სათქმელს, რადგან სასვენი ნიშნების დაუცველობამ გაურკვევლობაში დატოვა ისინი. ვხედავდი, რომ ბავშვები ცდილობდნენ, სწრაფად და სწორად წაეკითხათ სიტყვები, ხოლო სასვენი ნიშნები არც გახსენებიათ. ლექსების შემდეგ მოთხრობის წაკითხვა ვცადეთ და ოდანვ უკეთესი შედეგი მივიღეთ.

კითხვა როლებში - პროზისა და პოეზიის შერჩეული ნიმუშების წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტეთ, როლებში წაკითხვა. ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ აქ მდგომარეობა არც ისე სავალალო იყო, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე კარგი შედეგი როლური თამაშების დროს მივიღეთ. განსაკუთრებით მოსწონდათ და სწორად კითხულობდნენ დიალოგებს. ცდილობდნენ გამომეტყველებით წაკითხვასაც.

კითხვის შემდეგ გადავწყვიტე მენახა, რამდენად სწორად წერდნენ, ამისათვის გამოვიყენე წერის სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

წერის ექვსი მახასიათებელი



წერის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია, თუმცა ამ დოკუმენტში წერის სტრატეგიებში გეგმის შედგენა, ნაწერის გადამუშავება და რედაქტირება მოიაზრება. არადა, წერის უნარების განსავითარებლად არც მხოლოდ სიმბოლოების/ნიშან-ხატების სწორად გამოსახვის და მათი სხვადასხვა კომბინაციების შექმნის ცოდნა და არც აზრის მწყობრად ჩამოყალიბება და გადმოცემა – მნიშვნელობის კონსტრუირებაა საკმარისი. ამიტომაცაა, რომ მოსწავლეებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, წერის პროცესი არცთუ საინტერესო და მარტივია. იქნებ სწორედ ამიტომ არ იცის მოსწავლეთა და სტუდენტთა დიდმა ნაწილმაც კი როგორ აიდგას ფეხი და

საიდან დაიწყოს წერა. იქნებ მათ ნაწერებში ბუნდოვანება და უამრავი დაუზუსტებელი საკითხი ამის ბრალია?! წერა არ არის მარტივი პროცესი, სასწავლო გეგმის მიხედვით წერა არის მცდელობა, გამოიყენო წერის შესაძლებლობა საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების წარმოსაჩენად. ხანდახან სწორედ წერა გვიჩვენებს, მოწაფე როგორ შორდება ცნებას, და პირიქით, მას შეუძლია აჩვენოს მისი ოსტატობა ამ საკითხში. სპეციფიკური სტრატეგიები შეიძლება გამოვიყენოთ მათი ცოდნის დონის ამაღლების, გააზრების გაუმჯობესების, შენარჩუნების, დაოსტატების და სინთეზური აზროვნების მისაღწევად.

წერას ვიყენებთ დისკუსიის დაწყების, შინაარსობრივი მხარის განმტკიცების და იმ მეთოდების მოდელირებისთვის, რომლებიც ზიარია შესასწავლ დისციპლინებში. მოსწავლეს წერა აღმოაჩენინებს ახალ ცოდნას, რათა დააჯგუფოს წინარე შეხედულებები, მოხაზოს კავშირები და ღიად წარმოაჩინოს ახალი იდეები. წერის სწავლების ხანგრძლივი და რთული პროცესი მოითხოვს სისტემატურ მუშაობას, მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რათა მოსწავლე დაეუფლოს სხვადასხვა სახის (დანიშნულების და სტილის მიხედვით განსხვავებული) ტექსტების შექმნას. ცხრილის სახით უკვე არსებობს წერის სწავლების მეთოდები, რომლებიც წერის ათვისების სხვადასხვა ეტაპზეა შესაძლებელი:

სქემა 1.

წერის მეთოდი	რესურსი
ილუსტრაცია და კარნახი	ფურცელი, ფანქრები/ფლომასტერები
მინიშნებები თავისუფალ თემაზე წერისთვის	სურათი, საგნები, ფოტო, რვეული

პირადი დღიური	რვეული/ბლოკნოტი, კალამი
წერა ბარათის მიხედვით	სურათიანი ბარათები, რვეულები
ხუთსტრიქონიანი ლექსი და მისი ვარიაციები (ბრილიანტი და სხვ.)	ფურცელი, კალამი
გრაფიკული ლექსები (პირამიდა, სოკო)	ფურცელი, კალამი
ხუთსაფეხურიანი წერა	ფურცელი, კალამი
წერის ექვსი ასპექტი	ფურცელი, კალამი
როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა (RAFT)	რვეული, კალამი, დაფა და ცარცი/ფორმატის ქაღალდი და მარკერი
იდეები შემოქმედებითი წერისთვის	თემების ჩამონათვალი
სამწუთიანი წერა	რვეული, დაფა ცარცი
სწრაფი წერა	რვეული, კალამი
წერა ილუსტრაციების მიხედვით	საინტერესო ილუსტრაციები, ფურცელი, კალამი
მოთხრობების/ზღაპრების ჩარჩო	დაფა, რვეული, ფურცელი/შესავსები სქემა
დაწერე მოთხრობა	თვისებების, გარემოებებისა და პრობლემების ნუსხა, ფურცელი, კალამი
ლექსიკური ერთეულებით ამბის შეთხზვა და დასათაურება	სიტყვების ბარათები, ფურცელი, კალამი

12 სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება)	ფურცელი, კალამი
ქარგები (შაბლონები წერისთვის)	სამუშაო ფურცელი ქარგით

ამ მეთოდებით ტექსტების შესაქმნელად მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს წერის ყველა ძირითადი მახასიათებელი: თემა და იდეა, შინაარსი და სტრუქტურა, ტონი და სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია. საკუთარი ნაწერის ნაბიჯ-ნაბიჯ დასახვეწად მუშავდება ის ტექნიკები, რომლებსაც უბრალოდ წერის მცოდნე და გამოცდილი მწერალი ერთნაირად კარგად იყენებენ.

როგორ ავამაღლოთ წერის მოტივაცია და განვავითაროთ წერითი აზროვნება? – წერისკენ გადადგმულ ნაბიჯებს შეიძლება ავადევნოთ **მინიშნებები თავისუფალ თემაზე წერისთვის**. ეს ინსტრუმენტი იძლევა შემოქმედებითი თვითგამოხატვის შესაძლებლობას, მოსწავლეები წერენ მცირე ზომის ამბავს, მოთხრობას, ლექსს შეთავაზებული სურათის/მინიშნების მიხედვით. მინიშნებები სხვადასხვა სახისაა. ამ სტრატეგიით მოსწავლეები ივითარებენ წარმოსახვის უნარს, გამოხატავენ საკუთარ განცდებს, ემოციებს, მოსაზრებებს, აკვირდებიან საკუთარ ემოციებს და ცდილობენ შესაბამისი ლექსიკის შერჩევას.

მთავარია, ბავშვებს წერის დაწყებამდე მივცეთ მიმანიშნებელი ინსტრუქცია – **დავანახოთ პრობლემა**, რომელიც იკვეთება მინიშნებაში. მისი **გადაჭრისკენ გადადგმული ნაბიჯები** და **მოსალოდნელი შედეგები** კი თავად უნდა განვასაზღვროთ.

ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა მეტ-ნაკლებად ყველა წერით დავალებას გაართვეს თავი. მათ შეუძლიათ მსჯელობა, არგუმენტირება, მაგალითების მოყვანა, მაგრამ რაც შეეხება პუნქტუაციას, ამ მხრივ სავალალო მდგომარეობა აღმოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტე უშუალოდ პუნქტუაციაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შეთავაზება.

კარნახით წერა (დანართი 4) გადაწყვეტიტე, პირველად ნაცნობ ტექსტზე შემეჩერებინა ყურადღება. ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანის“?! ნაწყვეტი შევარჩიე, რადგან წინა წელს ჰქონდათ ნასწავლი. წავუკითხე და ვთხოვე, ყურადღებით მოესმინათ. ამ მეთოდმა საშუალება მომცა, დავკვირვებოდი მათი მახსოვრობის უნარსაც, მოსწავლეთა უმრავლესობამ სწრაფად და ხარისხიანად შეასრულა დავალება. კითხვის დროს ჩემი ინტონაციის მიხედვით მათი უმრავლესობა მიხვდა, სად რა სასვენი ნიშანი უნდა დაესვათ, მარგამ როცა ერთ-ერთ მათგანს ვთხოვე წაეკითხა შემდეგი ნაწილი და ეკარნახა თანაკლასელებისათვის, შედეგი არც თუ ისე სასიამოვნო აღმოჩნდა, რადგან მოსწავლე კითხვისას სასვენ ნიშნებს ყურადღებას არ აქცევდა. იგი ორიენტირებული იყო, სიტყვები წაეკითხა სწორად და სწრაფად. (იხ. დანართი დავალება პირველი).

ტექსტის რედაქტირება (დანართი 5) მოსწავლეებს მოცემულ ტექსტში უნდა მოეძებნათ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები (იხ. დანართი 6; 7; 8).

გარდა ზემოთ ხსენებული ინტერვენციებისა, არსებული პრობლემა განვიხილე კათედრის წევრებთან. ერთად შევიმუშავეთ და პრობლემის აღმოსაფხვრელად დავსახეთ შემდეგი ინტერვენციები, რადგან პრობლემა ყველასთვის ცნობილია და კოლეგებსაც ხშირად აქვთ მსგავსი შემთხვევები. კერძოდ, როდესაც ბავშვები თეორიულ ცოდნას ვერ იყენებენ პრაქტიკაში.

- ვიდეოს (<https://www.youtube.com/watch?v=FfgKhAOWwxs>) ჩვენება - სასვენი ნიშნები „მასწავლებლის და სიტყვის კაცის გაბაასება“, სასვენი ნიშნები, პუნქტუაცია - საინფორმაციო ვიდეო. ვაჩვენე ვიდეო, რომელშიც აღწერილია სასვენი ნიშნების შემოღება და ვიდეო, სადაც საუბარია სასვენი

ნიშნების აუცილებლობაზე, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში;

- ტექსტების ხმამაღალი კითხვა ინტონაციით და სასვენი ნიშნების დაცვით. ტექსტების კითხვისას ყურადღებას ვამახვილებ ინტონაციაზე, სასვენ ნიშნებზე. მოსწავლეები ეჩვევიან და ცდილობენ კითხვის დროს დააკვირდნენ სასვენ ნიშნებს და შესაბამისად წაიკითხონ ტექსტი. ეს აქტივობა ხელს უწყობს დაკვირვების და სასვენი ნიშნების დამახსოვრების უნარის განვითარებას.
- კარნახით წერა - კარნახით წერის დროს ვიყენებ როგორც უბრალო ისე ჩართულ დაკვირვებას. კარნახის დროს ვსვამ კითხვებს: როგორ ფიქრობთ რა სასვენი ნიშანი უნდა ვიხმაროთ? რატომ? როგორ ხვდებით? უბრალო დაკვირვების დროს არ ვერევი და ისე ვაკვირდები რას აკეთებენ სწორად და რას ვერა, რა უშლით ხელს და რა პრობლემები წარმოიშობა. ვაწარმოებ ჩანაწერებს. ასევე აკეთებენ ნაწერის კორექტირებას.
- სავარჯიშოები - ვიყენებ სავარჯიშოებს სახელმძღვანელოდან, ვაძლევ ტექსტებს სადაც არ არის სასვენი ნიშნები.
- ურთიერთსწავლების მიზნით ასწორებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას.
- ზღაპრებისა და მცირე მოცულობის ტექსტების შეთხზვა - ეს აქტივობა მეხმარება არსებული პრობლემის გადაჭრაში, რადგან შექმნილ ტექსტში უნდა გამოიყენონ სასვენი ნიშნები, ჩაასწორონ, დაუკვირდნენ, თავად აღმოაჩინონ შეცდომები, გამართონ წინადადებები.

4.2. განხორციელებული ინტერვენციების შედეგები

პუნქტუაცია ნებისმიერი ენის განუყოფელი ნაწილია, პატარა მძიმეს „დიდის“ შეცვლა შეუძლია. მისი დანიშნულებაა დაწერილი ტექსტის გამოყოფა

და დაყოფა, გრაფიკული ორგანიზაცია. პუნქტუაცია წერილობითი ტექსტის გაფორმების წესების ისტორიულად დამკვიდრებული სისტემა, ენათმეცნიერების ის დარგია, რომელიც ამ სისტემასა და სასვენი ნიშნების გამოყენების ნორმებს სწავლობს.

დაკვირვების შედეგად დაასკვნეს, რომ ნებისმიერ წერილობით ენაში ორთოგრაფიის შემდეგ სწორედ პუნქტუაციაშია ბევრი შეცდომის ალბათობა. ამაში იოლად დავარწმუნებთ მოსწავლეს, თუ მივცემთ მხატვრულ ტექსტს სასვენი ნიშნების გარეშე და მოვთხოვთ გაიგოს შინაარსი და შემდეგ დასვას სასვენი ნიშნები ისე, რომ გაგვაგებინოს შინაარსი.

შემიმჩნევია, რომ სოციალურ ქსელში სასვენი ნიშნების დასმა-არდასმა ხშირად კამათის საგანიც გამხდარა: რა საჭიროა სასვენი ნიშნები ან რისი მაჩვენებელია პუნქტუაციის ცოდნა-არცოდნა?! უეჭველი პასუხია, რომ ცოდნა-არცოდნა ადამიანის მორალური შეფასების კრიტერიუმი არ არის, ამის მიხედვით ვერ იტყვი, რომ ის ვინც სწორად სვამს სასვენ ნიშნებს, კარგია და ვინც ვერ სვამს, ის ცუდია.

სასვენი ნიშნების დასმის „ხელოვნება“ ანბანივით ერთჯერადად რომ არ ისწავლება, ესეც ფაქტია. პუნქტუაციის მოთხოვნილება თანდათან ყალიბდება ცოდნად და გრძნობად. თუ სიტყვების სწორად წერის შესწავლაა შესაძლებელი, თუ ვსწავლობთ და ვასწავლით, რომ უნდა ვწეროთ „შეურაცხყოფა“ და არა - „შეურაწყოფა“, მაშინ წერტილ-მძიმე-ტირე-ბრჭყალების სწორად ხმარების წესის ცოდნაც შესაძლებელია და ზედმეტად, უსარგებლოდ არ უნდა ჩაითვალოს.

ჩემი აზრით, პუნქტუაციის სწავლება პირველივე კლასიდან უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს მეოთხემეტე კლასის ჩათვლით, რადგან პრაქტიკაში მეორეკლასელიც შემხვედრია, წინადადებებს კი არა, სიტყვებს რომ არ გამოყოფდა ერთმანეთისგან და -მეოთხემეტეკლასელიც, რომელიც სიტყვებს კი გამოყოფდა ინტერვალთ, მაგრამ წერტილის დასასმელადაც კი შეხსენება სჭირდებოდა.

დაწყებით საფეხურზე პუნქტუაცია უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკულად და „მხატვრულად“. თეორიული სწავლება უშედეგოა. შესაბამისად, პუნქტუაციის არცოდნა არ უნდა „ისჯებოდეს“, მაგრამ ცოდნა უნდა „ჯილდოვდებოდეს“. სწავლების საბაზო საფეხურზე ინფორმაცია პუნქტუაციაზე იზრდება და სრულდება, ხოლო მოთხოვნა და შეფასება ცოდნის აუცილებელ კრიტერიუმად უნდა იქცეს.

რაც შეეხება საშუალო საფეხურს, სწორედ ამ ეტაპზე შეიძლება გადაიქცეს პუნქტუაცია შეგრძნებად და რამაც ათქმევინა ჩემს ნაცნობს, არ მისწავლია, ვგრძნობო.

„გიყვარდეთ სასვენი ნიშნები და შეაყვარეთ ისინი მოსწავლეებს, მიეცით თავისუფლებათ, წავიკითხე ერთგან.“

შემოგთავაზებთ რვა წლის სოფო ნერგადის თხზულებას „სასვენი ნიშნების თავგადასავალს“, რომელსაც „ფეისბუქში“ წავაწყდი.


„რა თქმა უნდა, ვიცით, რომ წინადადება წერტილით მთავრდება. მაგრამ, არა მარტო წერტილით. არა! შეიძლება კითხვის, ან ძახილის ნიშნით დამთავრდეს. ახლა კი დროა, ამბავი დავიწყოთ!!!“

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ია და ლია ნიშნები ერთად დასეირნობდნენ ზეციდან წერილი ჩამოვარდა და მათ თავზე დაეცათ, იმ წერილში ეწერა: გამარჯობა, მე ასოთა ქვეყნიდან გწერთ, გთხოვთ ჩამოხვიდეთ, პრობლემას მერე აგიხსნით. ბავშვებს გაუკვირდათ რადგან მძიმეს გარდა არცერთი სასვენი ნიშანი იყო. ბავშვები ოდნავ შესამჩნევი მოწყენილი იერით შევიდნენ წერტილის სახლში. დედა წერტილმა ჰკითხათ: რა მოხდა? ბავშვებმა წერილი მისცეს და გაიქცნენ. დედამ ყურადღებით წაიკითხა და მიხვდა რაშიც იყო საქმე! ბავშვები გარეთ რომ გავიდნენ წინ ასოთა ქვეყანა გადაეშალათ !!! უცებ პატარა ჯუჯა გადაუხტათ და უთხრა: აქ ფანქარს რომელიც ძახილის, კითხვის ნიშნებს წერდა წვერი მოსტყდა, არადა მხოლოდ კითხვის, ძახილის ნიშნები და წერტილი აკლდა. ბავშვები მიხვდნენ რა უნდა გაეკეთებინათ, ძახილის ნიშანმა ბრძანებითი წინადადება

მონახა, კითხვის ნიშანმა კითხვითი, წერტილმა თხრობითი. მაგრამ კიდევ ერთი წერტილი აკლდათ, დედა წერტილს დაუმახეს, მანაც მონახა თხრობითი და ერთად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. აი რა მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნები.“ მნელი მისახვედრი არაა, რომ სოფოს უკვე უყვარს სასვენი ნიშნები და მალე პუნქტუაციას იგრძნობს კიდევ.

4.3. ინტერვენციის შეფასება

იმისათვის, რომ გამერკვია, რა შედეგი მივიღე აღნიშნული ინტერვენციების შემდეგ, ჩავატარე განმეორებითი წერა. ვამუშავე ტექსტებზე, სადაც არ იყო გამოპყენებული სასვენი ნიშნები - მოსწავლეებს უნდა გაეკეთებინათ ტექსტის რედაქტირება. რამდენჯერმე ჩატარებული წერის შემდეგ ასეთი შედეგი მივიღე: სასვენ ნიშნებს მოსწავლეთა 60 პროცენტი სრულყოფილად იყენებს, 29 პროცენტი იყენებს ნაწილობრივ, თუმცა მოსწავლეთა 8 პროცენტი საერთოდ ვერ იყენებს სასვენ ნიშნებს.



ინტერვიუ მასწავლებლებთან - ინტერვიუ ჩამოვართვი იმ მასწავლებლებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ეთანამშრომლათ ჩემთან, თვალყურს ადევნებდნენ და ინტერესდებოდნენ კვლევის პროცესით.

ინტერვიუ მოსწავლეებთან--ინტერვიუ მიზნად ისახავდა, გაგვეგო ბავშვების მოსაზრება ინტერვენციებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორ შეაფასებდნენ იმ მეთოდებს, რომელიც კვლევის დროს გამოვიყენე, რომელი აქტივობა იყო მათთვის საინტერესო და სახალისო, სურთ თუ არა აღნიშნული ინტერვენციებით დაიგეგმოს მათი მომავალი გაკვეთილები.

ფოკუს-ჯგუფი-- ამ კლასში შემსვლელ პედაგოგებთან, ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო, მიმეღო ინფორმაცია შეინიშნებოდა თუ არა მოსწავლეებში რაიმე ცვლილებაპუნქტუაციურ ცოდნასთან **მეორადი ანალიზი** - ინტერვენციების შესაფასებლად გამოვიყენე თვისობრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდი, კერძოდ, დიაგნოსტიკა პოსტტესტის საშუალებით. პოსტტესტის შედეგები გავაანალიზე და შევადარე პრეტესტის შედეგებს.

ინტერვენციის შედეგები:- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პუნქტუაციის ცოდნის ამაღლების მიზნით მოსწავლეებთან უკვე გააზრებულად და მიზანმიმართულადმუშაობენ, ყურადღებას აქცევენ მათ წერილობით ნამუშევრებს, და შეფასების დროსაც ერთი კომპონენტი სწორედ, სასვენ ნიშნებს დაუთმეს. მათ გულწრფელად აღნიშნეს, რომ ადრე არც უფიქრიათ წერისათვის მიექცით ყურადღება. მათ მიერ მიცემულმა რჩევებმა და რეკომენდაციებმა დადებითი შედეგი გამოიღო და სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ბავშვებისთვის. ამდენად, ასეთი ურთიერთობა ნამდვილად შედეგიანი, რადგან მიხვდნენ, რომ სასვენი ნიშნები საჭიროა, როგორც ქართულისათვის, ისე მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნებისათვის. მოსწავლეებმა დააფიქსირეს აზრი ყველა საკითხზე, რომელიც მართლა გულწრფელი და ღია იყო. მოიწონეს სხვადასხვა

სახალისო აქტივობების დანერგვა საგაკვეთილო პროცესში. მოსწონთ, როდესაც ეს მეთოდები ტარდება წყვილებში ან ჯგუფურად, უყვართ, როცა ერთად მუშაობენ მეგობრები. განსაკუთრებით მოეწონათ კარნახით წერა, რადგან ინტონაციური კითხვა ეხმარება მათ კარგად გაიგონ ტესტი და ნაკლები შეცდომა დაუშვან. აღნიშნეს, რომ ამ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით გაუადვილდათ სასვენი ნიშნების გამოყენება. ამდენად, წერა მათთვის უკვე სახალისოც გახდა და სასიამოვნოც, გასაკუთრებით მოსწონთ თხზულების წერა. სხვა პედაგოგები, რომლებიც შემოდიან მე-8 კლასში უკვე აღნიშნავენ წინსვლას წერიის გაუმჯობესების კუთხით, ისინი აღნიშნავენ, რომ თითქმის აღარ უჭირთ მათი ნაწერის გასწორება. შესრულებულმა დავალებებმა გაიზარდა მოტივაცია და აკადემიური მოსწრება. გავაანალიზე კვლევის დაწყებისა და დასრულების (პრეტესტი და პოსტტესტი) დროს შესრულებული ტესტების შედეგები. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პრეტესტში მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება პოსტტესტში მიღებული შედეგებისაგან. პოსტტესტის შედეგმაც გვიჩვენა, რომ პრეტესტთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესებულია. ჩემი აზრით, შედეგების გაუმჯობესება სწორედ სათანადო ინტერვენციების შედეგია.

დასკვნა

ჩემი საკვლევი თემა იყო, დამედგინა, თუ რატომ უჭირთ მოსწავლეებს სასვენი ნიშნების გამოყენება. განხორციელებული კვლევიტა და ჩატარებული ინტერვენციებით დადგინდა, რომ მოსწავლეებმა თეორიულად იციან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები, მაგრამ წერის დროს არ/ვერ იყენებენ ამ ცოდნას, რადგან ვერ აცნობიერებენ სასვენი ნიშნების გამოყენების აუცილებლობას, წერის დროს იჩენენ უყურადღებობას, არ აკვირდებიან და ასეთი ზერელე დამოკიდებულება იწვევს შეცდომებს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვა, რომ ყველა ინტერვენცია, რომლებიც შევიმუშავე და განვახორციელე, აღმოჩნდა წარმატებული და ეფექტიანი მოსწავლეებისათვის, ვთვლი, რომ კვლევა ჩატარდა დროულად და იყო მნიშვნელოვანი როგორც ბავშვებისათვის, ასევე ჩემთვის. ვფიქრობ, კვლევამ რეალურად გამოავლინა, რა უჭირდათ მოზარდებს. ასევე, ნათლად დამანახა პრობლემის არსი და, რაც მთავარია, გამოავლინა ამ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, რომელთა გადაჭრაც არსებულ რეალობაში შესაძლებელი აღმოჩნდა.

განხორციელებული აქტივობების შედეგად მოსწავლეებმა გაიგეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას აზრის სწორად ჩამოყალიბებისათვის. ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციების შედეგად, შედეგებიც საგრძნობლად გააუმჯობესეს, მაგრამ მაინც ესაჭიროებათ სისტემატურად შეხსენება, განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეებს წერის დროს მასწავლებლის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხმარებათ ცოდნის განმტკიცებაში, ასევე საჭიროა გამოუმუშავდეთ ნაწერის წაკითხვის და კორექტირების უნარი, რისთვისაც საჭიროა მუდმივი ყურადღება და კონტროლი.

სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ სასვენი ნიშნების ცუდად ფლობის მიზეზებია:

- სასკოლო სახელმძღვანელოების სიმწირე;
- ტესტური დავალებების სიმრავლე, რომელიც ითვალისწინებს შემოსახაზ პასუხებს;
- მასწავლებელთა მიერ ნაკლები აქტივობის დაგეგმვა პუნქტუაციური უნარის ფორმირებისათვის;
- სოციალურ ქსელსა და ტელეფონებში მიმოწერა.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ კვლევა შედეგიანი იყო. კვლევის შედეგები გავუზიარე კათედრის წევრებს. განვიხილეთ განხორციელებული ინტერვენციები. როგორც კვლევამ გვიჩვენა, მნიშვნელოვანი და შედეგიანია ურთიერთსწავლება, რადგან ამ დროს მეტია მოსწავლეთა პასუხისმგებლობა და ყურადღება, მთავარია, მივცეთ მკაფიო ინსტრუქციები. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გააცნობიერებენ სასვენი ნიშნების გამოყენების აუცილებლობას, გამოუმუშავდებათ წერის დროს მათი გამოყენების უნარი, ხოლო წერის დასრულებისას შეძლებენ ნაწერის რედაქტირებას, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ახალი ცოდნის დაშენებისთვის. შემდეგ საფეხურზე კი გაუადვილდებათ უფრო რთული წესების შესწავლა და დაცვა.

როგორც უკვე აღვნიშნე, პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა თავდაპირველად მოსწავლეთა ნაწერებში მრავლად იყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს მოსწავლეებს, რომელთაც უკვე ნასწავლი აქვთ პუნქტუაციასთან დაკავშირებული წესები და უამრავი სავარჯიშო აქვთ შესრულებული, მაინც უჭირთ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ტექსტების აგების პროცესში. ეს ფაქტორი მიგვითითებს, რომ მათ პუნქტუაციური ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული და ამ მიმართებით კვლავაც სჭირდებათ მუშაობა. ზოგი მასწავლებელი თვლის, რომ ერთხელ მიწოდებული წესი ან სავარჯიშო განამტკიცებს მოსწავლეთა პუნქტუაციურ უნარ-ჩვევებს, რაც, ვფიქრობ, მცდარი აზრია, რადგან ჩემ მიერ განხორციელებულმა კვლევამ გვაჩვენა, თუ რა შედეგი აქვს ყოველდღიურ ვარჯიშს კარგი შედეგის მისაღებად. აქვე დავამატებ, რომ

საინტერესო იყო სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენების რამდენიმე მიზეზი, მათ შორის გამოვყოფ ყოველდღიურ მიმოწერას სოციალურ ქსელსა და მობილურ ტელეფონში. მოსწავლეების უმრავლესობა, როგორც გამოკითხვამ გვაჩვენა, იყენებს ლათინურ შრიფტს და წერენ გაუმართავ წინადადებებს სასვენი ნიშნების გარეშე. მათთვის ეს სულაც არ არის სათაკილო, რადგან მათი ასაკისათვის ასე წერა ბევრად უფრო მისაღები და მოსახერხებელია. ამის დასადასტურებლად ვთხოვე, რომ ჩემთვის მოეწერათ გარკვეულ საკითხზე დასაბუთებული აზრი ტელეფონზე. ამითი მივხვდი, რომ ამ მხრივ მოსწავლეთა მდგომარეობა სავალალო იყო. თუმცა, მოვძებნეთ გადაჭრის გზები და კარგი შედეგიც მივიღეთ.

ბევრი სასვენი ნიშანი სუნთქვას უკრავს კაცს, მაგრამ ძალიან ცოტა კი გაუგებრობას იწვევს, აზრს ცვლის. დანიშნულებით საგზაო ნიშნებს წააგავს, ჩვენს პაუზას, ემოციას, თხოვნას აჩვენებს და მკითხველი სწორად მიყავს.

სასვენ ნიშნებს მოფრთხილება სჭირდება, ისინი წერილობით აზრს მისაწვდომს ხდის. მოსწავლე, რომელიც დროულად და გასაგებად არ ისწავლის სასვენი ნიშნების დასმას, მთელი ცხოვრება იფიქრებს, რომ ეს მხოლოდ ფილოლოგების საქმეა.

ნუ შევაშინებთ მოსწავლეებს პუნქტუაციით, არ ავჩქარდეთ და ვაგრძნობინოთ, რომ პუნქტუაცია მოქნილია, არ არის საჭირო იმის დაზეპირება თითქოს, ყველა „რომ“-ის წინ მძიმე იწერება. ვასწავლოთ თვითშემოწმება წაიკითხონ საკუთარი ნაწერი და დაასკვნან, ამ ნაწერს სხვაც გაიგებს თუ - არა.

რაც შეიძლება თვალშისაცემი გახადეთ სასვენი ნიშნების სიმბოლოები. როგორ მოახერხებთ ამას: მაისურებზე და ჭიქებზე მიხატვით, ძახილის ნიშნის დღის დათქმით, პერწვით, კედლებზე სტიკერებით, მნიშვნელობა არ აქვს. ერთხელ მივაგენი მშვენიერ თამაშს, იპოვეთ არასწორად დასმული სასვენი ნიშანი-მეთქი და აღმოჩენით კმაყოფილი დავრჩი. სახალისო სამუშაოა სასვენი ნიშნების ხასიათების დამოუკიდებლად შექმნაც, ასევე - ხმამაღალი კითხვა და ყურადღების გამახვილება შესაბამის ინტონაციასა თუ პაუზაზე.

რა თქმა უნდა, ვასწავლოთ, მაგრამ „ნუ გადავყვებით“, ნუ ვაქცევთ პუნქტუაციას ხელოვნურ დაბრკოლებად და ნუ ვაიძულებთ, რომ სასვენი ნიშნებით ნაწერი „გაამშვენიერონ“ ხოლმე, ვასწავლოთ და ვაგრძნობინოთ სასვენი ნიშნის ფუნქცია და პუნქტუაციის დანიშნულება.

რამდენიმე ქვეყანაში პუნქტუაციის დღევ არსებობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 24 მაისს აღნიშნავენ.

აღვნიშნავ იმასაც, რომ პედაგოგიური კვლევა მნიშვნელოვანი და ღირებული აქტივობაა მასწავლებლისათვის. ის საშუალებას გაძლევს ჩაუღრმავდე, შეაფასო, შეაჯამო საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა. გაანალიზო, დაფიქრდე და აღმოაჩინო პრობლემა, რომელიც გარკვეულწილად აფერხებს სწავლა-განათლების პროცესს. პედაგოგიური კვლევა დროის გარკვეულ მონაკვეთზე გაწერილი და წინასწარ დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისგან. კვლევის ეტაპების განხილვისას ვხვდებოდი, რომ შედეგები სხვადასხვა იყო, თუმცა მოსწავლეთა შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ დინამიკაში აშკარა პროგრესი იყო. ჩემი აზრით, შედეგების გაუმჯობესება პრობლემის გამოსწორებისათვის შერჩეულმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა განაპირობეს. გამოვყოფდი საგაკვეთილო პროცესში გრაფიკული ორგანიზატორებისა და ვიზუალური სქემების ჩართვას, რომელთა გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეების მხრიდან სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას.

და ბოლოს, აღვნიშნავ, რომ ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა კვლავაც გრძელდება.

ვფიქრობ, რომ რადგან ამ დროისათვის მოსწავლეთა მხოლოდ ერთ კლასში ჩატარდა ინტერვენციები, მნიშვნელოვანი იქნება გაგრძელდეს კვლევა და შევისწავლოთ, რა შედეგს მოგვცემს განხორციელებული ცვლილებები.

აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ სკოლებს, რომლებშიც ანალოგიური პრობლემა დგას და მისი გამომწვევი მიზეზები

იდენტურია. ასევე კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ პუნქტუაციის საკითხზე მომუშავე მკვლევრებს.

დანართები

დანართი 1

კვლევის გეგმა

	1-ლი კვირა	მე-2 კვირა	მე-3 კვირა	მე-4 კვირა	მე-5 კვირა	მე-6 კვირა	მე-7 კვირა	მე-8 კვირა	მე-9 კვირა	მე-10 კვირა
მოსწავლეთა გამოკითხვა	✓									
პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზების დადგენა	✓									
ლიტერატურის მიმოხილვა		✓	✓							
მონაცემთა ანალიზი			✓							
კვლევის ჯგუფის მუშაობა			✓	✓	✓	✓				
ინტერვენციების დაგეგმვა				✓	✓					
ინტერვენციების განხორციელება				✓	✓	✓	✓	✓		
განხორციელებული ცვლილებების დადგენა									✓	
ინტერვენციის შეფასება									✓	
კვლევის პრეზენტაცია										✓

დანართი 2

მასწავლებელთა გამოკითხვა:

1. მნიშვნელოვანია თუ არა პუნქტუაცია ყველას საგნისთვის?
2. არის თუ არა სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება უშუალო კავშირში ტესტის გაგება-გააზრებასთან?
3. რა როლი აკისრიათ სასვენ ნიშნებს?
4. რამდენად მნიშვნელოვანია სასვენ ნიშნები მათემატიკური ამოცანისათვის?
5. რა განსხვავებაა გრამატიკულად გამართული და გრამატიკულად გაუმართავ ტესტებს შორის?
6. ღია დაბოლოებული ტესტების გასწორებისას აქცევენ თუ არა ყურადღებას სასვენ ნიშნებს?

დანართი 3

მოსწავლეთა გამოკითხვა

- ა) რამდენი სასვენი ნიშანი არსებობს?
- ბ) როდის გამოიყენება წერტილი?
- გ) რა შემთხვევებში ვიყენებთ მძიმეს და რა ფუნქცია აკისრია მას?
- დ) რომელი მეტყველების ნაწილის შეცვალ შეუძლია მძიმეს?
- ე) როდის იწერება ორწერტილი?
- ვ) რა განსხვავებაა ტირესა და დეფისს შორის?
- ზ) როგორ წინადადებასთან იხმარება ძახილისა და კითხვის ნიშანი ერთად?
- თ) რა სასვენ ნიშანს ვხმარობთ მიმართვასთან?

დანართი 4

ანკეტირება:

- ა) რომელ სასვენ ნიშნებს იყენებთ ყველაზე ხშირად წერისას;
- ბ) თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება სასვენი ნიშნების ხმარება;
- გ) რა განაპირობებს ამ სასვენი ნიშნების ხმარებას.

დანართი 5

კარნახით წერა:

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა — ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!“
(დავალეხა პირველი)

დანართი 6

ტექსტის რედაქტირება:

პალიკარნასის მავზოლეუმის შენობა ძველი წელთაღრიცხვის მე-IV საუკუნეში ააშენეს, როგორც ქალაქ პალიკარნასის მმართველის მავსოლეს, აკლდამა. მეცნიერების აზრით მშენებლობა მავსოლეს სიცოცხლეში დაიწყო მაგრამ კარიის მმართველმა მისი დასრულება ვერ მოასწრო. მის პატივსაცემად აკლდამას მავზოლეუმი უწოდეს. მავზოლეუმი საბოლოო სახით დაასრულა მავსოლეს ცოლმა, არტემისიამ. ეს იყო ბერძნულ ტაძრის მსგავსი ნაგებობა რომელსაც ამკობდა მარმარილოს კოლონები და ქანდაკებები. რელიეფური სამკაულები ტაძრისთვის შექმნეს იმ დროინდელმა საუკეთესო მოქანდაკე სკულპტორებმა. ნაგებობის თავზე იდგა საფეხურებიანი პირამიდა რომელზეც აღმართული იყო მავსოლესა და არტემისიას სკულპტურები. მავზოლეუმს ქვის ლომები სდარაჯობდნენ.

XIV საუკუნეში მავზოლეუმი მიწისძვრამ დაანგრია. ჯვაროსნული ორდენის რაინდები მავზოლეუმის ქვებს ციხე სიმაგრეების ასაშენებლათ იყენებდნენ, მმარცველები კი მოახდინეს სამარხების გაძარცვა. XIX საუკუნის 50-ან წლებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მავზოლეუმის ნაშთები, რელიეფისა და ქანდაკებების ფრაგმენტები.

დანართი 7

დასვით სასვენი ნიშნები:

1. ა) ნიკა კარგი ბიჭია
- ბ) პროფ გამცემლიძე ჩემი ლექტორია
- გ) ნათიამ გუშინ დამირეკა
- დ) თეონა ჩემი ახლო მეგობარია
- ე) „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“ (გალაკტიონი)

2. ა) დედამ ყველაფერი მოამზადა სახლი დაალაგა ნამცხვარი გამოაცხო სარეცხი დარეცხა.
- ბ) მე გავაკეთე ქართული კერძები ბაჟე საცივი ისპანახის ფხალი.
- გ) მასპინძლები ორ საათში მოვლენ ხვალინდელი მოლაპარაკებების პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ.
- დ) გასძა მანდ რას აკეთებ?
- ე) დედამ შეხვედრა 5 საათზე დანიშნა ჩემ შესახებ მასწავლებელთან უნდა ესაუბრა.
3. ა) პროფესორმა ქავთარაძემ ჩვენმა ლექტორმა გამოცდა ჩაიბარა.
- ბ) თეამ ჩემმა კოლეგამ ახალი მანქანა იყიდა.
- გ) თაიას ჩემს მასწავლებელს სამი შვილი ჰყავს.
- დ) იაკობს ამ სახლის მშენებელს საუკეთესო ინჟინრის სახელი აქვს.
- ე) თბილისი საქართველოს დედაქალაქი ჩემი საყვარელი ქალაქია.

დანართი 8

დასვით სასვენო ნიშნები:

1. ნუცა და ხელმძღვანელი წყაროსთან ისხდნენ ნუცას ხელში ახლად აღმოჩენილი საბჭოური წარმოების სინი ეჭირა და მთელი ქვეყანა თავზე ექცეოდა ხელმძღვანელი მშვიდად ლაპარაკობდა მსგავსი შემთხვევა მის პრაქტიკაში პირველი არ იყო და ცდილობდა ახალბედა „არქეოლოგისთვის“ ინფორმაცია მეტისმეტად შოკისმომგვრელი არ ყოფილიყო (თ. დოლენჯაშვილი) 2. წინა ღამის უძინარს კედლის საათის ჟღერიალზე გამომეღვიძა თორმეტჯერ დავითვალე ისევ მომერია თვლელა ახლა ზარის ხმა მომესმა ტალანიდან (კ. გამსახურდია) 3. მტერი

დიოდა და დიოდა პირველად მზვერავი ცხენოსნები ამოვიდნენ არსად არავინ არ ჩანდა ყველაფრის ჭაჭანება იყო გამწყდარი (ლ. გოთუა) 4. ერეკლემ აჰყარა ალყა აწყურს დასძრა თავისი ჯარი და გაუძღვა როკეტის გზაზე ჩვენი ჯარი ძლიერ ნელა მიდიოდა ცუდი და უცნობი გზის გამო (ი. გოგებაშვილი) 5. თავიდან ქალაქი თითქმის ყოველდღე იბომბებოდა დიდი პანიკა იყო ხალხი სარდაფებში და თავშესაფრებში ათენ-აღამებდა მერე თანდათან საჭმლის მარაგი გაუთავდათ ბომბები უფრო და უფრო იშვიათად ვარდებოდა და ხალხიც თითქოს შეეჩვია ახალ სიტუაციას თვითმფრინავის დანახვაზე მხოლოდ იმას თუ აკვირდებოდნენ სად დაეცემოდა ბომბები (დ. გოგია) 6. ბარი დღითიდღე იკრებდა ძალებს ბარი დღითიდღე უფრო და უფრო ბევრ მნახველს იზიდავდა ბარი ფართოვდებოდა და სამუშაო საათების რაოდენობას ზრდიდა ღამით ძილი შეუძლებელი გახდა (მ. მიქელაძე) 7. ქუთაისში არ იყო თოვლი და იყო ქარი ცივი ქარი იყო აკაკიმ სადგურშივე დაიჭირა ეტლი (ა. მორჩილაძე)

დანართი 9

დასვით მძიმე:

- ა) ზამთრისათვის კარგი ამინდი იყო მზიანი უქარო
- ბ) უპატრონო ბავშვი დაღლილი და მშვიერი ხმას ვერ იღებდა
- გ) თამარი ქართველთა საამაყო მეფე ძლიერი პიროვნება იყო
- დ) ვაშლი მეტად გემრიელი და სასარგებლო ბევრ ადამიანს უყვარს
- ე) ლელა ნათიაზე უფრო დაბალი ხმამაღლა საუბრობდა
- ვ) სერგი ბუნებით შრომისმოყვარე ადამიანი ახლა თურქეთში ცხოვრობს
- ზ) ზაზა შენი ნათესავი ბათუმში გაემგზავრა

ბიბლიოგრაფია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. http://www.rogor.ge/article_1020_rogor-vwerot-punqtualurad.html - როგორ ვწეროთ პუნქტუალურად, საბა მდივნიშვილი;
3. <https://www.youtube.com/watch?v=OLY1CYFcf4o> ავტორი - ავთო გვასალია, ფიქრია ჩხარტიშვილი - ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი;
4. https://www.youtube.com/watch?v=0S3ADwDm_ec სასვენი ნიშნები - ქუთაისის N12 საჯარო სკოლა, მაია დვალი გამოქვეყნებული 2015, 31 ოქტომბერი;
5. როგორ ავიცილოთ თავიდან გრამატიკული შეცდომები (პუნქტუაცია) მაია მღებრიშვილი www.kargiskola.ge;
6. მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი, 2009;
7. ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდთა, თბილისი 1966;
8. Jeremi Harmer, The Practice of English Language Teaching, Longman, Third Edition, 2005;
9. არნ. ჩიქობავა, ტიპიურ შეცდომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისთვის“, #11-12, 1934, გვ. 5-12. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011;
10. ავ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასის სახელმძღვანელო, განათლება, 2006;
11. ავ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, განათლება, 2006;
12. **ი. შავთვალაძე**, შ. დონდუა; აკადემიური წერა, მეხუთე გამოცემა. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

13. მ. თალაკვაძე. ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდика, განათლება, 1975.

რეფლექსია

ყველა კლასში არიან მოსწავლეები, რომლებიც წერის დროს უშვებენ გრამატიკულ შეცდომებს. არ იცავენ სასვენ ნიშნებს, აქვთ დაბალი მოტივაცია, და შესაბამისად, ვერ აღწევენ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებს. ეს პრობლემა ,ჩემთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის საინტერესო და დასაფიქრებელია. გადავწყვიტე კვლევის ჩატარება. მაინტერესებდა რა შეიძლება ყოფილიყო სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენების მიზეზი და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განმეხორციელებინა შესაბამისი ინტერვენციები

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ წავიკითხე პროფესიული ლიტერატურული მასალები („ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების , პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი”, ნაწ.II, როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები, სოფიკო ლობჟანიძე, დ.უზნაძის სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია),ქართული ენის გრამატიკის მეთოდიკა-თალაკვაძე; ენათმეცნიერების საფუძვლები და სხვა, რათა უკეთ გავრკვეულიყავი იმ პრობლემაში, რომლის გამოკვლევაც გადავწყვიტე. ლიტერატურის მიმოხილვა დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში, პრობლემის გადაჭრის გზების უკეთ დანახვაში. კვლევის მთავარი კითხვაა : **რატომ უჭირთ მოსწავლეებს სასვენი ნიშნების გამოყენება?** ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.

საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენათ მოსწავლეებთან ჩავატარე გამოკითხვა. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შევჯერდი რა იყო გასაუმჯობესებელი და რაშიდლება ყოფილიყო აღნიშნული პრობლემის გამომწვევი ფაქტორი.

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ, ჩატარებულმა დიაგნოსტიკურმა შედეგებმა მიჩვენა რომ მოსწავლეებს ქონდათ სხვადასხვა პრობლემა:

- წიგნიერების დაბალი დონე
- არასათანადო პუნქტუაციური ცოდნა
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოუყენებლობა

საგანგებო ყურადღება დავუთმე მოსწავლეთა გრამატიკული წესების გამეორება შესწავლას, რაც მართლწერის საფუძველს წარმოადგენს.

მომიწია შესაბამის სავარჯიშოებზე ვარჯიში, ვიყენებდი სიტყვის დეკოდირების ძირითად სტრატეგიებს, ვამუშავებდი ხშირად გამოყენებულ სასვენ ნიშნებს.

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მოთოდებათ გამოვიყენე ფოკუს-ჯგუფი, მონაცემების ანალიზი, ინტერვიუ მოსწავლეებლბთან და მკითხვარი მასწავლებლებთან.

ფოკუს-ჯგუფის ჩატარების მიზანი იყო მიმედო მე-8 კლასში არსებული სიტუაციის შესახებ ზუსტი ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა კითხვარის შედგენაში.ფოკუს-ჯგუფში შემთხვევით შერჩეული მოსწავლე აღმოჩნდა. მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანი იყო მოსწავლეთა მოსაზრებების შესწავლა სასვენი ნიშნების მართლწერასთან დაკავშირებით. მათი განწყობის შეფასება მნიშვნელოვანია პრაქტიკული კვლევისათვის. აღნიშნული პრობლემა მათაც გააზრებული ჰქონდათ და აწუხებდათ. საჭირო ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებათ მივიჩნიე კითხვარების გამოყენება.

კითხვარის საშუალებით გავარკვეე მოსწავლეთა მოსაზრებები და მათი თვითშეფასება. ასევე გავარკვეე, რას თვლიდნენ ძლიერ და სუსტ მხარეებად. რა შესაბამისობას ხედავდნენ მართლწერის წესების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შორის.

ინტერვიუმ მასწავლებლებთან საშუალება მომცა, გამერკვია იყო თუ არა სასვენი ნიშნების მართლწერასთან დაკავშირებული პრობლემა უფრო მასშტაბური, თუ მხოლოდ ჩემს კლასში აღინიშნებოდა ეს ხარვეზი.

ტესტირებით მიწდოდა ბავშვების შემოწმება და დადგენა როგორ იყენებენ პრაქტიკულად სასვენ ნიშნებს, რომელი მათგანის წერა უფრო უჭირთ.

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი:

- მართლწერის წესების შესწავლა
- სისტემატურა მუშაობა შესაბამის სავარჯიშოებზე

- წერით დავალების შეფასების კრიტერიუმად სასვენ ნიშნების მართლწერის ცალკე გამოყოფა

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები უკეთესად იყენებდნენ სასვენ ნიშნებს.

იმისათვის, რომ გამეზიარებინა მასწავლებლებისათვის კვლევის შედეგები გადავწყვიტე შევხვედროდი მათ, გავამზადე საპრეზენტაციო მასალა და ანგარიში. ანგარიშში გავწერე კვლევის ეტაპები და აღვწერე თითოეული ეტაპზე ჩატარებული სამუშაოები. მასწავლებლებს გავაცანი, რომ კვლევის პირველ ეტაპზე, განვსაზღვრე საკვლევი პრობლემა და გავცანი შესაბამის ლიტერატურას, ინფორმაციის შესაგროვებლად ავირჩიე მეთოდები.

კვლევის მეორე ეტაპზე გავაანალიზე შეგროვებული ინფორმაცია, გამოვიტანე შესაბამისი დასკვნები და გამოვკვეთე პრობლემის მიგნებები. დავგეგმე ინტერვენციები.

კვლევის მესამე ეტაპზე განვახორციელე ინტერვენციები, რომლებმაც საშუალება მომცა გადამეჭრა პრობლემა. ჩემ მიერ ჩატარებულმა ინტერვენციებმა დადებითი შედეგი გამოიღო. გამოვიტანე დასკვნა პრობლემასთან დაკავშირებით, შევადგინე რეკომენდაციები როგორც ბავშვებისათვის, ისე კოლეგებისათვის.

კოლეგებთან შეხვედრისად გამოვიყენე საპრეზენტაციო მასალა რათა უფრო კარგად და თვალნათლივ მეჩვენებინა მათთვის კვლევის მიზანიც და შედეგებიც.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კოლეგებმა მომცეს უკუკავშირი. ერთმა მასწავლებელმა პრობლემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭიროა, მუდმივი მუშაობა. ეს მუშაობა უნდა დაიწყოს დაწყებითი კლასებიდანვე. მეორე პედაგოგი დამეთანხმა, რომ სასვენ ნიშნების ცოდნასა და მისი გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას ხელს

უშლის კომპიუტერული და სატელეფონო მიმოწერები. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ერთმა პედაგოგმაც, კარგი იქნება თუ მოტივაციის ასამაღლებლად ჩავატარებთ კონკურსებსა და ვიქტორინას.

ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კარგად ესმის ამ საკითხის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის. ერთ-ერთმა მასწავლებელმა დადებითად შეაფასა კვლევაში წარმოდგენილი ინტერვენციები და აღნიშნა, რომ თუ მსგავსი გეგმით ვიმოქმედებთ მოკლე დროში ეფექტურად მოვაგვარებთ ამ პრობლემას.

უკუკავშირი ჩემთვის საინტერესო და ეფექტური გამოდგა.დავფიქრდი იმაზე, რომ შეიძლება უამრავი კარგი აქტივობის მოფიქრება ამ კუთხით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები და გადაჭრის გზები - ამოუწურავი. მთავარია გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები.

ვფიქრობ, აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ სკოლებს, რომლებშიც ანალოგიური პრობლემა დგას და გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი იყო ჩემი პროფესიული ზრდისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

ნანა ბერძენიშვილი.